



პრეს რელიზი

1 ივნისი 2017 წელი

BP-ს და მისი პარტნიორების მიერ დანერგილი ტექნოლოგიები ხელს უწყობს CO2 ემისიების შემცირებას საქართველოში

BP-მ სამწლიანი პროექტის 'განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის პროექტები საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის' შედეგები შეაჯამა.

პროექტი ინიცირებული და დაფინანსებულია BP-ს და მისი ნავთობის და გაზის პროექტების პარტნიორების მიერ. პროექტს ახორციელებს ენერგო ეფექტურობის ცენტრი საქართველო. პროექტის მიზანია ეროვნული ენერგოუსაფრთხოების და გლობალური გარემოსდაცვითი ღონისძიებების ხელშეწყობა, საქართველოში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების და სხვადასხვა საშუალებების და მოწყობილობის მიწოდების გზით CO2 ემისიების შესამცირებლად.

რვა ქალაქში განხორციელებული ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ხელშემწყობი 11 პროექტის მონიტორინგის, 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით, შედეგები ასეთია:

- დაიზოგა 2,440, 300 kWh ენერჯია;
- CO2 ემისია 406,000 Kg-თ შემცირდა;
- ენერგოგადასახადი შემცირდა 253,000 ლარით.

აღნიშნული პროექტის განხორციელების მანძილზე მერების შეთანხმებასთან მიერთებულ 8 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი, თელავი და ახალციხე) განხორციელდა 11 პროექტი, დაინერგა ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯის სხვადასხვა ტექნოლოგია, როგორცაა ენერგოეფექტური განათების სისტემები, მზის თერმული და ფოტოელექტრული სისტემები, გათბობისა და გაგრილების თანამედროვე სისტემები, სხვადასხვა ღონისძიებები შენობებში მათი ენერგომახასიათებლების გასაუმჯობესებლად.

ამ ქალაქების მუნიციპალიტეტები შეუერთდნენ ევროკავშირის მერების შეთანხმების ინიციატივას და ვალდებულეა აიღეს შეამცირონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი ქალაქების ენერგომომხმარება.

განხორციელებული პროექტები ეხმარება ამ ქალაქებს აღებული ვალდებულებების შესრულებაში, როგორცაა მის ტერიტორიაზე 2020 წლისთვის ნახშირორჟანგის (CO2) ემისიის 20%-ით შემცირება და სუფთა ენერგოტექნოლოგიების გამოყენება.



ყველა პროექტი სადემონსტრაციო ხასიათისაა და თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ ეხმარება მუნიციპალურ შენობებში და სხვა ობიექტებზე დანერგილი სუფთა ენერგოტექნოლოგიები დაზოგონ ენერჯის გადასახადი, გაიუმჯობესონ მიწოდებული ენერჯის ხარისხი და შეამცირონ უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე.

ბატონმა კრის შლიტერმა, BP-ის გენერალურმა დირექტორმა საქართველოში განაცხადა: ‘ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით და ერთობლივი ძალისხმევით, BP-ს და მისი პარტნიორების ხელშეწყობით განხორციელებული პროექტების ფარგლებში საქართველოში დაინერგა ენერგო ეფექტური ტექნოლოგიები და შემცირდა CO2 ემისიები. საქართველოს რვა ქალაქში განხორციელებული თერთმეტი პროექტი დადებით შედეგს მოიტანს მრავალი წლის მანძილზე. ეს პროექტები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან BP-ს თანამშრომლობის და საქართველოში ჩვენი გრძელვადიანი გეგმების საუკეთესო მაგალითია’.

რვა ქალაქში სადემონსტრაციო თერთმეტი პროექტის დანერგვასთან ერთად განხორციელდა ცნობიერების ამაღლების კამპანია ადგილობრივ მედიასთან თანამშრომლობით, გაიმართა სკოლის მოსწავლეთათვის თემატური კონკურსები და ჩატარდა მდგრადი ენერჯის კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მუნიციპალიტეტებში.

შენიშვნები რედაქტორებისთვის

BP-ს და მისი პარტნიორების ინიციატივით და დაფინანსებით დღემდე განხორციელდა 34 პროექტი. განხორციელებული პროექტების ფარგლებში ჯამში დაიზოგა 4,354,500 kWh ენერჯია; CO2 ემისია 1,012,000 Kg-თ შემცირდა; ენერჯის გადასახადი შემცირდა 590,000 ლარით. ჩვენი პროგრამების ფარგლებში ცხრა წლის მანძილზე 2008 წლიდან დღემდე 2,453,000 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა ენერგო ეფექტურობის მიმართულებით.

კომპანია BP

კომპანია ბი-პი საქართველოში 1996 წელს შემოვიდა და პარტნიორების სახელით, 20 წელზე მეტია ახორციელებს ნავთობისა და გაზის ტრანზიტს საქართველოში. BP საქართველოში სამი სტრატეგიული ენერგო პროექტის ოპერატორი და წამყვანი ინვესტორია. კომპანია ახორციელებს ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის და ბაქო–სუფსის ნავთობსადენების, აგრეთვე სამხრეთ კავკასიის მოქმედი გაზსადენის ოპერირებას და მისი გამტარუნარიანობის გაზრდის სამუშაოებს. საქართველოში დღემდე კომპანია ბი-პი-მ სამ მილიარდზე მეტი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა ბიზნეს და სოციალურ პროექტებში.

აღსანიშნავია ჩვენი წვლილი საქართველოს გაზით მომარაგებაში სამხრეთ კავკასიის გაზსადენიდან, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს მისი გაფართოების

სამუშაოების დასრულების შემდეგ, დღეს სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოების სამუშაოებზე დასაქმებულია 4000-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე.

საქართველოში ჩვენ 500-ზე მეტ თანამშრომელს ვასაქმებთ და ვქმნით ბიზნესშესაძლებლობებს ადგილობრივი მომწოდებლებისა და კონტრაქტორებისთვის. გასული წლების განმავლობაში, ჩვენი მხარდაჭერით განხორციელდა ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინიციატივები, განათლების, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის პროგრამები.

საკონტაქტო ინფორმაცია

BP საქართველოს პრეს სამსახური: chantlat@bp.com 599 96 33 01

ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო: eecgeo@eecgeo.org +995 32 224 25 40/41